

საქართველოს კანონი

**საქართველოს შრომის კოდექსში დამატების
შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს შრომის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №23, 19.06.2006, მუხ. 183) 36-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის ვ¹ ქვეპუნქტი:

„ვ¹)ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში მოთავსება, რომლის დროსაც შეუძლებელი ხდება მის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს..

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს კანონი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 55) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

ა) 88-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) 89-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ვ¹ ქვეპუნქტი:

„ვ¹)ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსებისას, თუ მოხელეს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება; დამჭირავებლისათვის შეტყობინების ვალდებულება ეკისრება მომსახურების გამწვევ ორგანიზაციას

გ) 92-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონის 89-ე მუხლის „ა“, „ვ“ და „ვ¹“ ქვეპუნქტების საფუძველზე სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერება, თუ იგი 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, შეიტანება მოხელის შრომის წიგნაკში.“

დ) 111-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოხელე არ შეიძლება განთავისუფლებული იქნეს სამსახურიდან შტატების შემცირების, ასაკის ან ატესტაციის შედეგების გამო იმ დროის განმავლობაში, როდესაც მისი სამსახურებრივი ურთიერთობები შეჩერებულია: ანაზღაურებად შევსებაში ყოფნისას; სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის, სასწავლო შეკრების, რეზერვისტთა მობილიზაციის დროს; მოხელის კანდიდატად წამოყენებისას საპრეზიდენტო ან წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში; ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსებისას, თუ მოხელეს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი